



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/10221

27/10/2021

10221-15-3-2-202110271035



საქართველოს გენერალურ პროკურორს  
ბატონი ირაკლი შოთაძეს

წინადადება

■ ■ ■ ■ ■ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის მიზანშეუწონლობის  
შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული  
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის  
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ■ ■ ■ ■ ■ , რომლის მიმართაც საქართველოს პროკურატურაში  
მიმდინარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საქმე. ექსტრადიციის  
საკითხის განხილვის პარალელურად, ■ ■ ■ ■ ■ , ამჟამად, სასჯელს იხდის ■ ■ ■  
პენიტენციურ დაწესებულებაში. ■ ■ ■ ■ ■ მტკიცებით, ექსტრადიციის  
განხორციელება, წარსულში მისი პოლიტიკური საქმიანობისა და ერთ-ერთი სოციალური  
ჯგუფისადმი კუთვნილების გამო, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის მისი წამებისა და  
არაადამიანური მოპყრობისგან დაცვის უფლებას.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის განმარტებით, ის არის ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის“ წევრი და წლების განმავლობაში, აქტიურად  
მონაწილეობდა აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ მშვიდობიან  
საპროტესტო გამოსვლებში. მისი მტკიცებით, საპროტესტო აქციებში მონაწილეობისა და  
გამოხატული პოლიტიკური შეხედულებების გამო, არაერთხელ იქნა დაკავებული  
სამართალდამცავების მიერ, რა დროსაც დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, რასაც  
კომპეტენტური უწყებების მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია.

გარდა ამისა, [REDACTED] მტკიცებით, ის არის ლგბტქ+ თემის წარმომადგენელი, რაც ასევე, მისი ექსტრადიციის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოებაა, ვინაიდან, ლგბტქ+ ადამიანების უფლებები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უხეშად იღახება და შესაბამისად, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, დაექვემდებარება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.

[REDACTED] მიერ მითითებულ საკითხებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მრავალჯერადი კომუნიკაცია<sup>1</sup> ჰქონდა საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, მათ შორის, აპარატმა პროკურატურას მიაწოდა [REDACTED]

[REDACTED] მიერ მითითებული ინფორმაცია იმ საფრთხეებთან დაკავშირებით, რაც ექსტრადიციის შემთხვევაში მას ემუქრებოდა. სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, ამ დრომდე არ ჰქონდა დამატებითი დოკუმენტაცია/სავარაუდო მტკიცებულებები, რომელიც უფრო მაღალი ხარისხით დაასაბუთებდა საფრთხის რეალურობას. პროკურატურისგან მიღებული პასუხების შესაბამისად კი დგინდებოდა, რომ ექსტრადიციის პროცესი არ წყდებოდა და კვლავ გრძელდება საკითხის განხილვა.<sup>2</sup>

ამის შემდეგ [REDACTED] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან განმარტა, რომ აპარატს შეეძლო დაკავშირებოდა აზერბაიჯანში მყოფ მის დას - [REDACTED] და გამოეკითხა მის მიერ დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები დაუკავშირდნენ და გაესაუბრნენ მოქალაქე [REDACTED]<sup>3</sup>.

რწმუნებულებთან გასაუბრებისას [REDACTED] დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ მისი მმა ლგბტქ+ თემის წევრია. ოჯახს, მის სექსუალურ ორიენტაციაზე ეჭვი ჯერ კიდევ 30 წლის წინ გაუჩნდა და აღნიშნულის გამო, ყოველთვის გარიყული იყო ნათესავებისა და ახლობლების მხრიდან. ასევე, [REDACTED] მას და დედას ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი, რადგან მათვის არაჰეტერონორმატიულობა სირცხვილად ითვლება. [REDACTED] განმარტა, რომ ლგბტქ+ თემის წევრობის შესახებ მისი ძმისგან ღიადაც მიიღო დასტური რამდენიმე წლის წინ.

[REDACTED], ასევე, აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში, საზოგადოებას კონსერვატიული შეხედულებები გააჩნია და არატოლერანტულია ლგბტქ+ თემის წარმომადგენლების მიმართ.

[REDACTED], ასევე, განაცხადა, რომ [REDACTED] იცოდა მისი პოლიტიკური აქტიურობის შესახებ. მისი ძმისგან მუდმივად ესმოდა, რომ სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებს, მათ შორის, [REDACTED] “უჭერდა მხარს და აზერბაიჯანის

<sup>1</sup> მაგ., სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 5 მარტის N 15-3/2172, 2021 წლის 14 აპრილის N 15-3/3614, 2021 წლის 1 ივნისის N 15-3/6394, 2021 წლის 19 აგვისტოს N 15-3/8130 წერილები.

<sup>2</sup> მაგ., საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 15 ივნისის №13/31461, 2021 წლის 17 მარტის №13/14939, 2021 წლის 28 აპრილის №13/25355, 221 წლის 9 ივნისის №13/41459, 2021 წლის 27 აგვისტოს №13/52176, წერილები.

<sup>3</sup> [REDACTED] (დაბადებული: [REDACTED] მცხოვრები: აზერბაიჯანი, ქ. ბაქო, [REDACTED] e-mail: [REDACTED]@mail.ru, ტელ: [REDACTED]) გასაუბრება შედგა დისტანციურად, პროგრამა WhatsApp-ის მეშვეობით.

ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში ხშირად იღებდა მონაწილეობას. თუმცა, [REDACTED] აქვე მიუთითა, რომ არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად რომელ პოლიტიკურ გაერთიანებაში მოღვაწეობდა მისი ძმა და რა სტატუსით. შესაბამისად, დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა ამ საკითხებთან დაკავშირებით არ შეუძლია.<sup>4</sup>

## სამართლებრივი დასაბუთება

- ზოგადი ვალდებულებები ექსტრადიციის განხორციელების დროს

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია<sup>5</sup>. საერთაშორისო კონვენციები და ქართული კანონმდებლობა კრძალავს ექსტრადიციას იმ შემთხვევებში, თუკი არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირს დაემუქრება წამების საფრთხე.<sup>6</sup>

გაეროს წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის თანახმად, არც ერთმა მხარე-სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს პირის გაძევება, დაბრუნება („refouler“) ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი იმის საფიქრალად, რომ იქ მის მიმართ წამება შეიძლება იქნეს გამოყენებული.<sup>7</sup>

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში პირი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ პირის წამებასთან, მისდამი სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასთან.<sup>8</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფოს მიერ ექსტრადიციამ შეიძლება გამოიწვიოს მე-3 მუხლის საფუძველზე საკითხის დაყენება და შესაბამისად, ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის შესაბამისად, როდესაც წარმოდგენილია საკმარისი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში შესაბამის პირს მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ემუქრება მე-3

<sup>4</sup> [REDACTED], მის მიერ დაფიქსირებული ინფორმაციის შესაბამისი უწყებებისთვის მიწოდების შესახებ თანხმობა გამოხატა. ამასთან, განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზადაა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან ითანამშრომლოს.

<sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 33, ნაწ. 4.

<sup>6</sup> იხ. გაეროს „კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ მუხ. 3, აგრეთვე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 29, პუნ. 3.

<sup>7</sup> იხ. გაეროს „კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, მუხ. 3.

<sup>8</sup> „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 29, პუნ. 3.

მუხლით აკრძალული მოპყრობისადმი დაქვემდებარების რეალური საფრთხე.<sup>9</sup> ასეთი პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელია ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული პირობების შეფასება კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან მიმართებაში. კონვენციის მიხედვით არსებული ან შესაძლო პასუხისმგებლობა არის ის პასუხისმგებლობა, რომელიც სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს მის მიერ ისეთი ქმედების განხორციელების გამო, რისი უშუალო შედეგიც იქნება პირის დაუცველად დატოვება აკრძალული უკანონო მოპყრობის წინაშე<sup>10</sup>.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, არ განახორციელონ ექსტრადიცია ან არ გააძვონ პირი, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელი რომელიმე ქვეყანაში, როდესაც არსებობს სერიოზული და აშკარა მოტივები იმის სარწმუნებლად, რომ მას ემუქრება რეალური საშიშროება, დაექვემდებაროს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას. „კონვენცია სრულად კრძალავს ისეთ მოპყრობას, რომელიც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს, როგორიც არ უნდა იყოს მსხვერპლის მიერ ჩადენილი ქმედება“.<sup>11</sup>

ამრიგად, ექსტრადიციის საკითხის განხილვისას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლებრივი გარანტიების დაცვას პირის მიმღებ სახელმწიფოში. ექსტრადირების განმახორციელებელმა სახელმწიფომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს გადასაცემი პირის მიმართ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხორციელების რისკი.<sup>12</sup> რისკის შესაფასებლად აუცილებელია პირის მიმღებ სახელმწიფოში არსებული ვითარების გათვალისწინება.<sup>13</sup>

- აზერბაიჯანში არსებული ვითარების მიმოხილვა

2000 წელს ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაციის მიუხედავად, აზერბაიჯანი ლგბტ+ ადამიანებისთვის ევროპაში ყველაზე საფრთხისშემცველ ქვეყანად რჩება.<sup>14</sup> საზოგადოებაში დაკვიდრებული ტრადიციები განაპირობებს ოჯახების მიერ ღიად (ქამინგ აუთის შემდგომ) ლგბტ+ პირთა მიმართ ძალადობასა და გარიყვას, რიგ შემთხვევებში - იძულებითი ჰეტეროსექსუალური ქორწინების თანხლებით.<sup>15</sup>

გაცილებით მძიმე ვითარებაა ლგბტ+ ადამიანების მიმართ პოლიციასა და პენიტენციურ სისტემაში. Human Rights Watch აღწერს არაერთ შემთხვევას, როდესაც აზერბაიჯანული პოლიცია ძალადობს, აპატიმრებს და აწამებს ჰომოსექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებს,

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ, პარა. 67.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, პარა. 335.

<sup>12</sup> იქვე, ასევე იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ჩაპალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარა. 73-74, სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარა. 88-91; კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, პარა. 69-70.

<sup>13</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, პარა. 337; კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, პარა. 76.

<sup>14</sup> <<https://bit.ly/3Awkwh7>> [ნანახია 12.10.2021].

<sup>15</sup> <<https://bit.ly/3ADLtiG>> [ნანახია 12.10.2021].

ელექტრომოკებისა და ხელკეტების გამოყენებით.<sup>16</sup> ტრანსგენდერი ქალები, ძალადობის გარდა, ექვემდებარებიან თავის იძულებით გადაპარსვასაც,<sup>17</sup> რასაც ხელისუფლება „ეროვნულ-მორალურ ღირებულებათა დაცვის“ მიზანს უკავშირებს.<sup>18</sup> ძალადობის სერიების მსხვერპლი ხდებიან მათი უფლებადამცველებიც.<sup>19</sup>

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით უმძიმესი დანაშაულების ჩადენაზე მიუთითებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელი მიმოხილვა აზერბაიჯანთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია დაკავების ადგილებში ლგბტქ+ ადამიანების წამების შესახებ. ანგარიში ასევე აღწერს შემთხვევას, როდესაც ლგბტქ+ ადამიანებს, დაკავების შემდეგ, პოლიცია გაუპატიურებით ემუქრებოდა, რამდენიმე მათგანი კი ხელკეტით გააუპატიურა კიდევ.<sup>20</sup>

აზერბაიჯანის ციხეებში უფლებადამცველების, აქტივისტების, ჟურნალისტებისა და სხვა პირების წამების შესახებ (რასაც რიგ შემთხვევებში, გარდაცვალებაც მოყვა) მრავალი და თანმიმდევრული მონაცემის არსებობა აღინიშნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის უკანასკნელ პერიოდულ ანგარიშშიც.<sup>21</sup> გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კომიტეტმა (CAT) ანალოგიური გაიმეორა და დამატებით მიუთითა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების ორგანოებს, საანგარიშო პერიოდში მიღებული ასეულობით საჩივრის მიუხედავად, ერთ შემთხვევაშიც კი არ განუხორციელებიათ გამოძიება და დაუსჯიათ წამების ჩამდენი პირი. კომიტეტის აზრით, ეს აშკარა მინიშნებაა იმაზე, რომ წამების შესახებ საჩივრების გამოძიება არ ხდება სათანადო, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების ფარგლებში.<sup>22</sup>

პენიტენციურ სისტემაში სისტემური წამების შესახებ, განსაკუთრებით, ჰომოსექსუალ პირთა მიმართ, კიდევ უფრო ვრცლად საუბრობენ აზერბაიჯანელი აქტივისტები. აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა ჯგუფი აღწერს, რომ ციხეებში გეებსა და ლესბოსელებს „არ ექცევიან, როგორც ადამიანებს“ და „მათ არ აქვთ საუბრის უფლება“. ამავე ორგანიზაციის ცნობით, ციხეებში გამეფებული, კასტურ იერარქიაზე დაფუძნებული არაფორმალური სისტემა ყველაზე დაბალ საფეხურზე სწორედ ლგბტქ+ ადამიანებს აყენებს.<sup>23</sup>

2019 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში აღიერებია აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიუთითა, რომ განსაკუთრებით სასტიკ მოპყრობას ექვემდებარებოდნენ ის აზერბაიჯანელი აქტივისტები, რომლებიც თანამშრომლობენ ევროპის საბჭოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათი დაკავებები, უსაფუძვლო

<sup>16</sup> <<https://bit.ly/3oZhXBY>> [ნანახია 12.10.2021].

<sup>17</sup> <<https://nyti.ms/2X5V1P9>> [ნანახია 12.10.2021].

<sup>18</sup> <<https://bit.ly/3BG7cbo>> [ნანახია 12.10.2021].

<sup>19</sup> <<https://bit.ly/3ABptoR>> [ნანახია 12.10.2021].

<sup>20</sup> <<https://bit.ly/3AAUnxI>> [ნანახია 12.10.2021].

<sup>21</sup> United Nations Human Rights Committee, Concluding observations on the fourth periodic report of Azerbaijan, 2016, para 18. ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/30h0U3X>> [ნანახია 12.10.2021].

<sup>22</sup> United Nations Committee against Torture, Concluding observations on the fourth periodic report of Azerbaijan, para.

8. ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3BD2EY>> [ნანახია 12.10.2021].

<sup>23</sup> <<https://bit.ly/3DAq4ZI>> [ნანახია 12.10.2021].

მსჯავრდებები, მიკერძოებული და უკანონო საპროცესო მოქმედებები (მათ შორის, ჩხრეკა-ამოღებები) სასამართლომ ჩათვალა იმის აშკარა მტკიცებულებად, რომ ეს ყოველივე წარმოადგენდა აზერბაიჯანის ხელისუფლების მიზანმიმართული კამპანიის ნაწილს ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე აქტივისტების გასაჩუმებლად და მათი საქმიანობის შესაჩერებლად.<sup>24</sup> ამ საქმეში სასამართლომ კონვენციის მე-3, მე-5 და მე-18 მუხლების დარღვევა დაადგინა.

ევროსაბჭოს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ ევროპულმა კომიტეტმა (CPT) აზერბაიჯანში თავისი უკანასკნელი ვიზიტების დროს (2017 და 2016 წლებში) ასევე მიუთითა აზერბაიჯანის ციხეებში წამების აშკარა პრაქტიკის შესახებ. ის რამდენიმე ბრალდებული, ან პატიმარი, რომელიც შეხვდა CPT დელეგაციას და არ ყოფილა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, იყვნენ ის ბრალდებულები, რომლებმაც დაკავებისთანავე ითანამშრომლეს პოლიციასთან და მყისიერად აღიარეს დანაშაული.<sup>25</sup> სხვა პირები ექვემდებარებოდნენ წამებას მუშტების, ხელკეტების, ჯოხების, სკამების, ბეისბოლის ჯოხების, ელექტროშოკებისა და სხვა საგნების გამოყენებით.<sup>26</sup>

CPT-ის ცნობით, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ ინფორმაციებზე გამოძიებები აბსოლუტურად არაეფექტურიანად მიმდინარეობს და არავინ ისჯება.<sup>27</sup> მსხვერპლები არ ლაპარაკობენ პოლიციის ან სამართალდამცავი უწყების სხვა წარმომადგენლის თანდასწრებით და კონფიდენციალობის პირობებშიც კი ყოყმანობენ მათი წამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.<sup>28</sup> კომიტეტი შენიშნავს, რომ წამების მსგავსი პრაქტიკა წლიდან წლამდე არ იცვლება და 2002 წელს განხორციელებული პირველი ვიზიტის შემდგომ ყველა ვიზიტის ფარგლებში უცვლელ და გადაუჭრელ პრობლემად რჩება.<sup>29</sup> კომიტეტს გამაოგნებლად მიაჩნია, რომ წამების შესახებ 2014-2016 წლებში განხორციელებული 579 საჩივარზე ჩატარებული მოკვლევებიდან არც ერთ შემთხვევაში არ გამოვლინდა დანაშაულის ნიშნები, ხოლო 2010-2016 წლებში დისციპლინური წესით დასჯილი 1883 პოლიციელიდან არც ერთი მათგანი არ სანქცირებულა მოქალაქეთა მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობისთვის.<sup>30</sup>

შესაბამისად, საქმეზე შეერებილი ინფორმაცია და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, პენიტენციურ დაწესებულებებში ლგბტქ+ ადამიანების უფლებების დარღვევის პერმანენტული ხასიათი წარმოშობს საფუძვლიან ვარაუდს იმის თაობაზე, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადირების შემთხვევაში, [REDACTED] შესაძლოა დაქვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ მოპყრობას სექსუალური ორიენტაციის

<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, 68762/14 და 71200/14, პარა. 214-215.

<sup>25</sup> European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), Report to the Azerbaijani Government on the visit to Azerbaijan from 23 to 30 October 2017; 2018, para. 19.

<sup>26</sup> იქვე, პარა. 20-21.

<sup>27</sup> იქვე, პარა. 28

<sup>28</sup> European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), Report to the Azerbaijani Government on the visit to Azerbaijan, from 29 March to 8 April 2016; 2018, para. 20

<sup>29</sup> იქვე, პარა. 22

<sup>30</sup> იქვე, პარა. 28

ნიშნით.

## დაკვენა

შესაბამისად, წარმოდგენილი საქმის შესწავლისა და ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, [REDACTED] აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს წამება ან/და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, კანონმდებლობასთან და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, არ მიმართოთ სასამართლოს [REDACTED] ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე შუამდგომლობით და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რაკი არსებობს გარემოება, რომელიც აშკარად გამორიცხავს პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას, მიმართოთ საქართველოს იუსტიციის მინისტრს ექსტრადიციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების გამოცემის შუამდგომლობით.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

5-  


